

# ნიაზები

მედიკალი  
ზიგლოთიკა



## ოჯახის ბედნიერება

ნახ. დონის

—ქორწილი ხომ არა გაქვთ, რომ უველანი მხიარულობთ და ცეკვავთ?

—ქორწილზე მეტი: ჩვენი ვალოდია დირექტორობიდან მოხსნეს და რკინისგზის რომელიღაც ხად-გურში მოლარედ გაგზავნეს



# მისტერ უშერ-გაიზერ

მისტერ უშერ-სულელ გაიზერს ჩვეულებად ჰქონდა დაწოლის წინ გადაეთვალეობა გაზეთები და ამოეკითხა ძილის წინ „საინტერესო ამბები, მას იტაცებდა განსაკუთრებით სხვა და სხვა განცხადებები.

მისტერმა ხელში აიღო გაზეთ „პარი სუარ“ და ამოეკითხა: „როდესაც გადაწყვიტოთ ცოლის თხოვა, მე მომმართეთ. მე მაქვს კოლოსალური ნაცნობობა არისტოკრატიულ წრეებში. მაღამ რენა“.

იქვე ამოეკითხა: „უფასოდ ვაგზავნი კრებულს“ „გულები კავშირს“. კრებული შეიცავს იმ შეძლებულ პირთა სიას რომლებიც ეძებენ საცოლეს, ან საქმროს“.

გადახედა „ბერლინერ ტაგიბლაში“ განცხადებას: „ახალგაზრდა ქალი 35 წლის (შეხედულებით 25 წლის) არიელი ეძებს საქმროს 50 წლიდან 70 წლამდე, არიელს“.

გადახედა გაზეთ „ნოე ფრაე პრესს“ და თვალში ეცა: „მძებნელთა ინსტიტუტი „გელიას“, პირველ ხარისხოვანი საერთაშორისო ბიურო. შეუმჩნეველი მეთვალყურეობა. ცნობები საცოლეებზე. მათი წარსული ცხოვრება, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა“.

გადახედა „ტაიმსს“, რომელშიაც წაიკითხა ახალგაზრდა კაცის განცხადება: „უსაქმობას სჯობს ყოველგვარი მუშაობა. ვარ ახალგაზრდა, უმაღლესი ცოდნით. დიდი მადლობით მავიღებ ყოველგვარ წინადადებებს“.

ამის შემდეგ მისტერმა გადახედა საბჭოთა გაზეთებს.  
— ფუ! მიღწევები ყველგან. შეჯიბრები, დამკვრელები... მოსკოვის მეტრო... წითელი არმია... კომკავშირი.

მისტერს სახეზე უკმაყოფილება აღებუქდა და გაზეთები მაგიდას ქვეშ შეყარა. მხოლოდ უკანასკნელი გაზეთის პირველ გვერდს თვალები ვერ მოაშორა: „ომი—ომს... „კომინტერის მეშვიდე კონგრესი“. ლევანევისკის გადაფრენა კონგრესზე გამოსულ დელეგატების სიტყვებში წაიკითხა. მიმართვა ბელადისადმი და სხვა. წაიკითხა ბელადის სიტყვიდან: „ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიწვევს თავდამსხმელთა სრულ დამარცხებას, რევოლუციას ევროპის და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნებში კაპიტალისტური წესწყობილების დამხობას“.

მისტერმა ბრაზისაგან გაფითრდა გაზეთი ნაკუწ ნაკუწად აქცია და კალათში გადაუძახა.

მისტერი ცუდხასიათზე დადგა. ზარი დარეკა. დარაჯი მაშინვე გაჩნდა.

— ვბრძანებ: დღეიდან საბჭოთა გაზეთები არ შემოიტანო ჩემს კაბინეტში. ხომ გესმის?

— მესმის მისტერ. თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება!

დარაჯი კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდა. მისტერმა გადაათვალიერა თავისი ქვეყნის ფაშისტური გაზეთები. მან ამოეკითხა ახალი სამხედრო კანონი, რომლის მიხედვით მისი ქვეყანა უნდა შეარაღდეს ყველა ქვეყნებზე უკეთესად. მან ამოეკითხა ახალი საომარი იარაღების შესახებ, რომლითაც კაცობრიობა უნდა მოისპოს, განადგურდეს. მისი ქვეყნის ტანკები საათში გაივლიან 100 კილომეტრს, ისინი შეარაღებული არიან მძიმე ზარბაზნებით. მის ქვეყანაში ტარდება არმიის მექანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საჰაერო შეარაღებას და სხვა. მისტერი უშერ სულელ გაიზერ მხიარულ გუნებაზე დადგა.

ახალი ომი! ერთადერთი გზა! დედამიწაზე უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი სახელმწიფო. ეს იქნება ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი

ქვეყანა. ან კი რა საჭიროა სხვა ქვეყნების არსებობა. ხა, ხა, ხა. გვაშინებენ წინანდელი ომი. დაიხოცა ათი მილიონი, დაიჭრა შვიდი მილიონი, უგზოუკვლოდ დაიკარგა ხუთი მილიონი. ჩემი რა საქმეა რამდენი კაცი დაიხოცა, რამდენი დაიჭრა, რამდენი დაიკარგა რატომ დაიხოცენ? რატომ დაიჭრენ?

მისტერს ჩაეძინა.

ჩვიდმეტი წელიწადია თავგამოდებით იბრძოდა მისი ქვეყნის ფაშისტური პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისტერ უშერ-სულელ გაიზერი.

— დავიწყოთ ომი. გავანადგუროთ ბოლშევიკების ქვეყანა!— გაიძახოდა მისტერი...

— მოიცა მისტერ, მოითმინე, ომი საბჭოთა ქვეყანასთან იოლი საქმე როდია. ბრძოლა მასთან სხვა საშუალებათ უნდა ვაწარმოოთ ბლოკადებით, მავნებლური ორგანიზაციების მოწყობით და სხვა!— ეუბნებოდნენ მისტერს და აფრთხილებდნენ, მაგრამ იგი უშრისძიებით გააფთრებული მოსაზრებებს ანგარიშს არ უწევდა.

ამ დღეებში მის ქვეყანაში ფაშისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. მოხდა ფაშისტური გადატრიალება, ძველი მთავრობა შეიცვალა. მისტერ უშერ-სულელ გაიზერს ჩააბარეს სამხედრო მინისტრის პორტფელი და მიანდევს ომის ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მისტერ უშერ-სულელ გაიზერ დღეს მინისტრია. ის წინ მიუძღვის თავის არმიას, მისი ქვეყანა სამხედრო ზანაკს წარმოადგენს, დღეს ის პირველი კაცია. მისი სურვილია საბჭოთა კავშირის დაპყრობა, განადგურება.

იგი მიაღმა საზღვარს. მის წინაშე ცამდე აწვდილი კედელია ამართული.

მისტერი ბრძანებს:

— დაინგრეს კედელი!

კედელს ზარბაზნებს უშენენ, ტანკებს ამოქმედებენ, ჰაერობლანებიდან ბომბებს აყრიან. ნაღმები შეუთესს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. კედელს ვერაფერს აკლებენ. კედელი არ ინგრევა...

მისტერ ცოფს ყრის, გული ბოლმით ევსება. ამ დროს კედელი დაინძრა მისკენ, მისი არმია ნადგურდება. მისტერი ყვირის:

— მიშველეთ, მიშველეთ!

მის საწოლ ოთახში ფრთხილად შედიან დარაჯები და საწოლის წინ აეყუდებიან.

მისტერს გამოეღვიძება.

— რა გნებათ აქ? ცოცხალი ვარ?— ღრიალებს მისტერი.

— დიახ, მისტერ, ცოცხალი ბრძანდებით. ერთხმად მიუგებენ მას დარაჯები.

ქუჩებიდან ამ დროს მოისმის ხმაურობა და ძახილი:

— ძირს ფაშისმი! ძირს ომი! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს.

— რა ამბავია?— გაფითრებით კითხულობს მისტერი.

— დღეს პირველი აგვისტოა მისტერ! ქალაქში ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციაა.

მისტერ უშერ-სულელ გაიზერს ენა მუცელში ჩაუარდება და დარაჯებს ხელით ანიშნებს, რომ ოთახიდან გავიდენ.

ჟუმაბარა:



ტერს, ცხოვრება მას წარმოდგენილი ჰყავდა ავაზაკთ, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა. ეწინოდა ადამიანის, ეწინოდა მზის—გაწყრა ღმერთი და დაჰკრა მზემ! ეწინოდა ავდრის—რომ გაციებულყო, რაღა ექნა! ეწინოდა ღრუბელის—ვაი თუ წვიმამ დასველოს!

ერთად-ერთი რასაც ენდობოდა პარმენ კვირია,—ეს იყო ნაღულარი წყალი.

### III

ქვეყანაზე რომ შემთხვევა არ ყოვილიყო, არც მრავალი ბედნიერი და უბედური დღე გაუთენდებოდა ადამიანს. მრავალს სიცოცხლე სავესეა მოულოდნელობით. ზოგიერთის მაინც იმდენათ, რომ მისი არსებობაც მხოლოდ ბრმა შემთხვევას შეიძლება მიეწეროს.

პარმენ კვირიაზე მატინე არაფერს იტყვის. ამის მეტად აღარც ჩვენ მოვიგონებთ. დაგვჩა მხოლოდ პატარა ამბავი, თუ რა საკვირველად დაასრულა მან თავისი სიცოცხლე. ყველაფერს აქვს თავისი ბოლო.

იმ დღეს პარმენმა ჩვეულებრივად გაისინჯა ტემპერატურა. ყოველშემთხვევისთვის—რადგან სადღაც ღრუბლის ნაჭერს მოჰკრა თვალი—წაიღო საწვიმარი, გაზეთში გახვეული კალოშები და ქალაქში გავიდა. ჩვეულებრივი სიფრთხილით გადაიარა ქუჩა, გულის ფეთქის შესანელებლად ბაღში შეისვენა და შემდეგ მოედინისკენ წავიდა როცა მოედანს მიუახლოვდა, დაინახე: დანგრეულ ფარატინა სახლების ადგილზე ვეებერთელა შენობის ასაგებად მუშაობდენ.

—აღარ ისვენებს ეს ხალხი!—გაბრაზებით გაიფიქრა პარმენმა და რადგან სხვა გზა არ იყო, ძალაუნებურად სამუშაოთა ახლო გაიარა. დამუწა პირი, რომ მტვერი არ ესუნთქა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ მაინც საკჷაოდ ჩაეყლაპა.

საჩქაროდ მოათავა საქმე და შინ დაბრუნდა. —დაფინე, ჩემი წყალი მომეშველე, გენაცვალე!—კარებში მიიძახა ცოლს.

შეისხა ნაღულარი წყალი თვალეში, გამოირეცხა ნესტოები, გამოივლო ყელში.

უეცრად ერთი ყლაპი სასუნთქში გადასცდა.. მოასწრო და გადმოაქცია. გადმოაქცია, მაგრამ უცბად დაასლოკინა. დაასლოკინა ერთხელ, მეორედ. ნესამეს წაება მეოთხე, მეათე და აღარ იქნა, აღარ შეჩერდა.



ეცა პარმენი უჯრას, გადმოიღო ფხვნილი, ჩაყლაპა, მაგრამ არც ამის შემდეგ შეუწყდა. სცადა სხვა რამეს—ფხვები თბილ წყალში ჩაჰყარა, შექარი შექამა, მკერდი დაიზილა, ბოლოს ლოგინში ჩაწვა და ჩაიფუთნა, მაგრამ მაინც ვერ შეიჩერა.

სალამომდე სამმა ექიმმა ინახულა. სამივემ იმედი მისცა, სამივემ სხვადასხვა საშუალება ურჩია. სამივეს დარიგება შეისმინა.. მაინც არაფერი ეშველა.

იწვა ლოგინში თვალდაჭყეტილი და შიშისგან გაბრუებული გრძნობდა, რომ გული უსუტდებოდა. თაროდან ყველა რეცეპტები ვადმო-

აღებინა ცოლს, დაილაგა ლოგინის წინ სკამებზე დიდხნიდან მომარაგებული წამლები, ფხვებზე და მუცელზე სათბური ბალიშები დაიდა, კომპრესები შემოირტყა.. მაინც უქმი-განოდ გაყველაფერი.. ასლოკინა დღე, ღარი, სამი და მეოთხეზე უკანასკნელ ამოსლოკინს სულიც გააყოლა. სიკვდილის წინ მხოლოდ ეს მოასწრო ეკითხა:

—დაფინე, ნაღულარი იყო ის წყალი? ხომ არ შეგშლია?

ისე ეცა სიკვდილი, პასუხის მიღებაც არ აცალა.

### IV

იმ დღეს, როცა პარმენს მარხავდენ, მზიანი ამინდი იყო და ქარიც ღონიერი. არასოდეს არ გასულა პარმენი ქუჩაში ასეთი ამინდის დროს.

ახლა კი თავტიტველას თავანდელი კუბოთი მიასვენებდენ. ორიოდ მეზობელი მიაცილებდა. ამათზე მეტი მუსიკის დამკვრელნი იყვენ. უბერავდენ სპილენძის საკრავებში, გუგუნებდა ორკესტრი და ბარაბანიც თავხედურად ხმაურობდა.

პარმენი მკვდარიც შეშინებული სჩანდა. თითქო დაფრთხალი იყო, რომ თვალლიათ დაჰყურებდა მზე, სახეში ქარი ურტყამდა და ასე, საოცრად ხმაურობდა ორკესტრი.

საფლავზე არავის უტირია. მგონი არც ცოლს. მხოლოდ ისე, ხალხის შესანედავად, სანამუსოდ, გამოთხოვებისას შუბლზე აკოცა. აკოცა და ეწვენა, თითქო წუთით შეიჩხა პარმენის ტუჩები და წაიჩურჩულეს:

—დაფინე, რაღა მეშველება მე უბედურს, თუ მეორედ მოსვლის დროს ადგომა მაიძულეს?!

სამრ. კლდიაშვილი

## გენ. პურტალასი (გაგრძელება. დასაწყისი მე-4 გვ.)

ვალაპარაკოთ ბესო ურეგლამენტოდ. ვალაპარაკოთ ყოველდღე თანდათანობით ვუხშიროთ კრებებს, დილაობით, საღამოობით, ცოტა ხნის შემდეგ დილის სხდომა გადავაბათ საღამოს სხდომას. საღამოს სხდომა გადავიტანოთ შუალამემდე. შემდეგ კიდევ გათენებამდე.

ასე გავჩარხოთ ბესო, ასე გავრწვთნათ იგი ორიოდ წლის განმავლობაში და შემდეგ არავითარი კრებების მოწვევა აღარ დაგვკირდება. ბესოს დაუდგათ სკამი მიუჯინოთ გვერდით პურტალასს და გნახოთ ვინ აჯობებს.

და განა მარტო ბესოზე დადგა ჩვენი იმედი განა ცოტაა ჩვენში გამოუვლენებელი პურტალასები? აიღეთ თუნდაც ამ სტრიქონების ავტორი:

„თათბირზე გამოირკვა, რომ მოხეტიალე დენებთან ბრძოლის საქმეში ჩატარებულია დიდი მუშაობა. განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები: მოწყობილი განხლოვებელი მუფტები, მოწყობილია სარელსო შემაერთები ელექტრული შედუღებით იმ უბნებში, რომლებიც უფრო ხშირად ზიანდებიან კოროზიით, გაკეთებული ტრამევი გან-

მწოვი ფადერების რემონტი, ზოგი მათგანი შეცვლილია მკვებავი ფადერებით ჩართულია პარკის ქვესადგური..

„იტს უნდა მიიღოს ზომები იტმ კვალფიკაციის და ტექნიკურ დონის ამაღლებისათვის ახალ მეცნიერების და ტექნიკის ათვისებით; მიღებულ იქნეს ყოველგვარი საშუალებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, შრომის ნაყოფიერების განმტკიცებაში და თვითღირებულების შემცირებაში, რითაც მოგვეცემა საშუალება მეორე ხუთწლედის სამეურნეო გეგმის თავის დროზე შესრულებისა.“ (იხ. ჟურ. „ტექ. და შრ.“ № 3—4).

ამ სტრიქონების ავტორში განა არ ზის ნორჩი პურტალასი, რომელსაც, თუ ხელს შევეწყობთ დავაუკაცებამი, შეეძლება ორივე ბექზე დასდოს ლაყბობის მსოფლიო ფალავანი პურტალასი!

—აფსუს პურტალას! აფსუს, შენ გქონდეს მსოფლიო პირველობა! ეს სამართალია.

სამეიბ-გან-შეიხ.




ნახ. ისაყვის.




1. შუალამე არის და საკმაოდ ბნელა... ერთ სახლიდან კაცი გამობრძანდა ნელა.

მას კოსტუმი კარგი უმზვენებდა ბებებს. ხელში ჩემოდანი კმნიდა რაღაც ეჭვებს.



4. მოიფხანა თავი მეფეოვემ მაშინ... გული აღშფოთების გაეხვია აღში...

მოიმარჯვა ჯობი, გადმოაგდო ენა და კაცს კოსტუმიანს უკან დაედევნა.




2. ერთ-ერთ მოსახვევთან შეხვდა კაცი პაცანს. ბიჭი გამურული ვავდა გამოცანას.

კაცმა ჩემოდანი პაცანს ჩააბარა, იქვე მეფეოვეს გვერდი აუარა.



5. როცა მეფეოვე მიხტოდა ვით რწყილი, ამ დროს შესასვლიდან ეღურტულებდა წყვილი.

ვაუს კოსტუმი ეცვა და ქალს აბრეშუმი... იყო დამდაგავი ვაუს ხვევნა ჩუმი.



8. მეფეოვეს აზრი დაეხადა ცუდი... ისე გააცხელა, რომ მოიძრო ქული. ფიქრობს, ეს რა ვნახე, კაცი კოსტუმშია, ბიჭთან ჩემოდანი რატომ გაუშვია?..

ბიჭმა მეფეოვეს გადმოხედა განზე, მერე ჩემოდანი მსწრაფლ აიგდო მხარზე. და მოკურცხლა ისე, ისე... ისე... ისე, რომ ღამის წყვილიაღში მიიმაღა მყისვე.



6. მაგრამ მეფეოვე ხწრაფია, ვით ეღვა... და უსიტყვოდ ვაუი იქვე დაატყვევა. ქალმა თავს უშველა, ვაუს ეცვალა ფერი... წარყვნა მეფეოვემ ღამე ბედნიერი.

მიყავს მეფეოვეს ვაუი თოფნაკრავტ... ვაუი არის წყნარი, ვაუია ვით კრავი... ფიქრობს, ამის შემდეგ თავს მოვიკლავ დანით!.. ყვირის მეფეოვე: — ხად გაქვს ჩემოდანი!





ერთი მეგობარი მყავს. მოქანდაკეა. სახელ-  
მწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა.

— ხელოვნება წიწმატი კი არ არის, რომ  
მოკრეფა ყველას შეეძლოს. ხელოვნება სულ  
სხვა რამ არის,—მეტყობდა ხოლმე იგი,—საკ-  
მარისია იმ გზით წახვიდე, რომლითაც ძვე-  
ლები მიდიოდნენ და დაილუპები, ხელოვნება  
ხელოსნობად გადაგექცევა!

ერთ დღეს, გვიმ, ჩემმა მეგობარმა თავის  
სამუშაო ოთახში შემეყვანა. მის ახლად დამ-  
თავრებულ ქანდაკებას ფარდა გადაჰხადა და  
მითხრა:

— ჩემი უკანასკნელი ნამუშევარია. რო-  
გორ მოგწონს?

დავაკვირდი: ქანდაკების დასაწყისს ორი  
ბურთი წარმოადგენდა. ერთი აქეთ იდგა, მე-  
ორე-იქით, ბურთებს ხელები ჰქონდათ და ხე-  
ლები ერთი-მეორეზე იყო გადაქდობილი, ისე  
როგორც ჩვეულებრივი კაცი ხელს ჩამოართ-  
მევს ხოლმე მეორე კაცს. დაბლა ქალღმრთ-  
ლის პატარა ნაჭერი მიეკრა და ზედ დაეწერა:  
„გ მ ი რ თ ა შე ხ ვ ე დ რ ა“.

— ვერ გავიგე, რის თქმა გინდა? — გაკვი-  
რვებით შევეკითხე.

— ვერც მიხვდები—მიპასუხა მან—ხელოვნ-  
ება წიწმატი კი არ არის, რომ მოკრეფა  
ყველას შეეძლოს!

— რატომ დამცინი! მიხვდები რალაც კარ-  
გი უნდა იყოს, მაგრამ ერთია ჩემთვის გაუ-  
გებარი: ეს ბურთები რალაა?!

— ეს ბურთები არ არის, დააკვირდი, კა-  
ციკა თავებია!

დავაკვირდი: ბურთები ორ ადგილას გა-  
მოჩიქნილი იყო, ვითომ-და თვალბიაო, ეს  
იყო და ეს, მეტი არაფერი.

— კი, მაგრამ ამ ადამიანებს ტანი არ  
ქონდათ?

— შენ ხელოვნების არაფერი გაგეგება, ჩე-  
მო კარგო. აბა დაფიქრდი: რა საჭიროა აქ  
ტანი? შეხვდები ხელებით მოხდა, თავები კი  
იმისთვის არის, რომ მიხვდე: ადამიანები  
არაიან. ყველაფერი რომ მომეცა, დაიტვირთე-  
ბოდა ქანდაკება.

არ მეჭაშნიკა.

— თავიდან ვერ მიგიხვდი, საუცხოოა! შენ,  
დიდი მოქანდაკე ხარ, უკაცრავად! — მოვი-  
ბოდიშე.

ერთი თვის შემდეგ მისი ახალი ნამუშევა-  
რი მაჩვენა გვიმ.

არც ის მომეწონა.

ქალი იყო გამოქანდაკებული, წელში მი-  
ლუნული. ხელები წინ გაეშვირა, ფეხი, რო-  
მელიც წინ ჰქონდა წადგმული, ტანის სიმსხო  
იყო. ხელი კი, მარჯვენა ხელი, მარცხენაზე  
ორჯერ უფრო მსხვილი. ტანზე არაფერი  
ეცვა, მაგრამ სხეულის არცერთი ნაწილი არ  
ეტყობოდა.

— პილოტი ქალია! — მითხრა მან.

— არ მომწონს.

— „არა შეჯდა მწყერი ხესაო“ — დააყოლა.

— შეიძლება ახალი მიღწევა იყოს, მაგ-  
რამ მე მაინც არ მომწონს. ყველას ხომ ერთი  
გემოვნება არა აქვს! — ვიმართლე თავი.

გვიმ დაწვრილებით ამიხსნა თუ რას ნიშ-  
ნავდა ეს არაჩვეულებრივობა:

— უნდა გესმოდეს, რომ ეს წინწადგმული  
ფეხი, ტანის სიმსხო იმიტომ აქვს, მეორე ფეხ-  
ზე უფრო მსხვილი იმიტომ არის, რომ მთელი  
ტანის სიმძიმე ამ ფეხს აწევა: ხომ საჭიროა,  
რომ უფრო მკვრივი და ძლიერი იყოს ეს ფე-  
ხი?



— კი, მაგრამ ეს ხელი რალა არის? ამით  
ხომ ჰაერს არ ებჯინება?!

— აი, აქედან ირკვევა შენი ფანტაზიის  
უქონლობა, განა ვერ უნდა წარმოიდგინო,  
რომ ადამიანის მარჯვენა ხელი უფრო მეტს  
მუშაობს, ვიდრე მარცხენა? აი, ეს ჩანს ჩემი  
ქანდაკებიდან. ძველი გატყეპნილი გზით სი-  
არული აღარ შეიძლება, გესმის? ნოვატორი  
უნდა იყო ხელოვნებაში, რალაცას უნდა ეძე-  
ბდე, ყოველთვის.

\* \*

ერთმა თვემ გაიარა ამის შემდეგ.

შუალამე იყო. თეატრიდან ვბრუნდებოდი.  
გივის ენახა-მეთქი, გავიფიქრე და ოთა-  
ხის კარებზე დაეუკაკუნე. ხმა არავინ გამ-  
ცა. გასაღებისათვის დატანებულ ნახვრეტზე  
ყური მივაღე. რალაც ბურტყუნის ხმა გამო-  
დიოდა ოთახიდან. კიდევ დავაკაკუნე. ბრა-  
გუნის მოისმა. კაკუნს ვუმატე. მცირე ხნის შემ-  
დეგ კარი გაიღო. ჩემს წინ მოქანდაკე მეგო-  
ბარი აღიმართა საცვლების ამარა. გაფითრე-  
ბული სახე ჰქონდა. დავეკვიანდი: ოთახში ხომ  
არავინ ჰყავს-მეთქი და წამოსვლის მიზნით უკან  
დავიხიე.

— მოდი, სადღა მიდიხარ! — კანკალით მომ-  
მართა მან.

ოთახში შევეყევი. ელნათური ანთო და სა-  
წოლზე ჩამოჯდა. გრილოდა. გივის კი ჭირის  
ოფლი ჩამოსდიოდა სახეზე.

— თითქოს ვერა ხარ ხაზიათზე, რა და-  
გემართა? — შევეკითხე.

— საშინელი სიზმარი ენახე, კინალამ გუ-  
ლი წამივიდა. ახალი დაძინებული ვიყავ. ვნა-  
ხე: ვითომ ნაძვებს ქვეშ ვიწექი ტრუსიკის  
ამარა და რალაცაზე ვფიქრობდი. ჩემს შორი-  
ახლოს ქალები დასეირნობდნენ, სულ მთლად  
ტიტვლები იყვნენ, არც მათ რცხვენოდათ და  
არც მე. უცბად ერთი მათგანი ჯგუფს გამო-  
ეყო, პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა, საშინელება  
რამ იყო, ცალი ფეხი ტანზე მსხვილი ჰქონდა.  
ერთი ხელიც ფეხს უგავდა. მოვიდა, გამომეც-  
ნაურა. შენი ქანდაკება ვარო, მითხრა გავცო-  
ცხდილო. სიყვარული ამიხსნა და აღერსი და-  
მიწყო: მომეხვია, მაკოვა. შენს მეტი არავინ  
მინდა ამ ქვეყანაზე. შევშინდი, ისეთი იყო,  
ემმაკსაც კი დააფრთხობდა, მიშველეთ მეტი  
ვიკივლე და, აი გამომეღვიძა.

სიცილი ამივარდა და მივემართე:

— სიზმარი არაფერია. რას იზამდი, რომ  
ის ქანდაკება მართლაც გაცოცხლდეს და მოგ-  
მართოს: ცოლად მითხოვეო? უარს ეტყობი  
ჩვენი ქვეყნის სიამაყეს — პილოტ ქალს?

— ნუ დამცინი! გული მიკანკალებს მის  
გახსენებაზე! — შემომიტია გვიმ, და უდროო  
სტუმარმა კარები გამოვიხურე.

გ. ივანიშვილი.



ინგლის-გერმანიის საზღვაო ხელშეკრულებამ ინგლისის ბატონობას ზღვაზე ლახვარი ჩასცა და საფრთხის ქვეშ დააყენა მისი „თავდაცვის უპირატესობა“

გაზეთებიდან

— გიტო, სანდრო ჩამოსულა ტვილისიდან.

- ისემც რა გითხრა!
- გეუბნები ჩამოვიდა!
- კაი ერთი, მამა ნუ წამიწყდება!
- ახლა ველაპარაკებოდი სწორედ!
- არა, ლოთიანად?

— ბიჭოს, თუ არ გჯერა, იყავი! ახლა, ლომის კარებზე კი ვერ დაგიფიცებ!

ძლივს დაიჯერა გიტომ. ძლივს იმიტომ, რომ სანდროს ჩამოსვლასთან ბევრი რამ იყო დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა მას უნდა გადაეხადა მაყარიჩი მშვიდობით დაბრუნების გამო.

— ჰო-და, ჩემო, ახლა მაყარიჩი შენზეა მშვიდობით რომ ჩამოხვედი.

— რის მაყარიჩი, ჩემო ძმაო? ფული გადაეხარჯე, მაყარიჩსაც მე მახდევინებთ?

არ გაუვიდა სანდროს და სალამოს მთელი კამპანია ერთადერთ ადგილობრივ რესტორან „ჩამაცეცხლეში“ იყო.

მეორე დღეს:

— რა თავი მტკივა რატო!

— თავი რატომ არ გაგისკდა ის მიკვირს რომ მიადგები და ჯამით სვამ, კიქა ვერ იშოვე?

შუადღისას:

გიტო! გეიგე ბიჭო ესვანჯის ტორგსინში საკოსტუმე რო უყიდა?

- კაი ერთი, ნუ მომკალი!
- გეუბნები უყიდა!
- სინდისს გაფიცებ!

— ეჰ! დამიწყებს ახლა ეგო!

ესვანჯი მოდის და ფაქტს ადასტურებს.

— ჰო და მაყარიჩი შენზეა ჩემო ძმაო!

— რის მაყარიჩი, გევიყიდე კაცი, ათასი ორასი მანეთი მივეცი ნახე რა მატერია!

სინჯავენ.

— ბიჭო, რაბიჭო! გადასარევი რამეა! შერცხვენილი კაცი ვიყო, თუ ეს საკოსტუმე ათას ხუთასი არ ღირდეს!

— მეტიც ღირს.

— აბა ჩემო ძმაო, ოცი თუმანი ქე უნდა დახარჯო!

— დეილუბეთ იქით!

— დახარჯო უნდა, აბა რას ფიქრობ! უმაყარიჩოთ გინდა? კოსტუმე თითქმის უფასოდ გიშოვია...

ესვანჯის „კერავენ“ და „ჩამაცეცხლეში“ მიყავთ.

მესამე დღეს:

— გიტო, ახალი ამბავი გეიგე? ჩვენი მთავარი ბუღალტერი რომაა ზიგფრიდ ჩინჩალაძე, იმას ქალი ყოლია ფეხმძიმეთ!

— კაი ერთი მამა ნუ წავიწყდება!

— რა გიკვირს ბოშო?

— ბოშო, რავე არ მიკვირს! თუთხმეტი წელიწადია ჯვარდაწერილი არიან და ახლა გაუჩნდა?

— გასჩენია კი!

— ისემც რას გეტყვი!



გერმანელი:—ერთი... ორი...

ინგლისელი:—დავიღუბე... თუ „სამი“ თქვა, გემს უკვე გადმოალაჯებს და ნაპირზე გადმოვა.

— დედავ! ერთი ამას უყურეთ! კაცო, გო-უგზავნია წყალტუბოს, უაქიებია და ახლა მეხუთე თვეშია! ირევა კაცი პირდაპირ!

— აბა ახლა მე მცალე! მაგას თუ მაყარიჩი არ გადავხდევით, ზაკხოზობას თავს დავანებებ! წამოდი აქეთ.

მიდიან ზიგფრიდთან.

ზიგფრიდ, ყმაწვილო! ასეთი ამბავი მოგივიდა და შენ ჩუმად ხარ? არ გრცხვენი? ვენაცვალე მე ჩემ რძალ ეგვიტის!

— რა იყო ყმაწვილო?

— აბა! ამას უყურეთ, რავე პატროსან კაცივით ჟის! ამ სიბერის ხანს გამეიღეთ ხელი? ბიჭი იქნება, ვიცი ნაღდათ. სამსახურიდან არ გეიპარო იცოდე! მაყარიჩი შენზეა!

— მაყარიჩი კი არა... თავი მოსაკლავად მაქვს, ექვსი თვეა რუსეთში ვარ გაგზავნილი და ქალი ორსულად დამიხვდა...

— რაიო? ერთი უყურეთ, უარზე რომაა! ქალი მეხუთე თვეში ყავს, კაცი გაბედნიერდა და ორ კიქა ღვინოზე უარს ამბობს! ხალხი გაფრთხილებული მყავს იცოდე... ნუ სცოდავ ღმერთს! ბ გუვი შენია...

მუშაობის გათავებისას ყველა მზადაა. ბედ-ენირი ზიგფრიდ ჩინჩალაძე, მომავალი მამა

თითქმის ძალით გამოყავთ ბუღალტერიდან და „ჩამაცეცხლეში“ მიდიან.

მეექვსე დღეს დასვენებაა. გიტო სამიოდე ამხანაგით ქალაქის ბაღის თავში დგას.

— გიტო!— მოდის მეხუთე,—ახალი ამბავი გეიგე? ვაშინგტონ კუტალაძეს გუშინ ხიდზე ქული გადოვფარდა წყალში.

— მერე?

— მერე და წაიღო წყალმა.

— თუ ღმერთი გწამს!

— გეუბნები წაიღო!

— არა, მამა ნუ წავიწყდება!

ე ბიჭო მიშველეთ, დაჯერეთ ე კაცი! ადამიანო წა-ი-ლო!..

ჰო და, აბა ახლა მე მიყურეთ. წამომყევით მიდიან. ქულების მალაზიაში შედიან და ხუთ მანეთად თეთრ ქულს ყიდულობენ:

— კარგად შეახვიე!

ეს ქული გიტოს დიდის ამბით მიაქვს ვაშინგტონ კუტალაძისას. ხუთი კაცი ხუთმანეთიან ქულით ჩადის ეზოში. დიდი ზრდილობით ესალმებიან დიასახლისს დი კუტალაძეს მიმართავენ.

— გევიგეთ ბიჭო, ქული დაგიკარგავს... შემთხვევით ძმაო, შევხვდით ახალს და გიყიდეთ...



# პატიოსანი მუღანგებები

ჯუღელის რაიონის სასამართლოს სიზმარი

დღიური შრომით მწარედ დაღლილსა ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი: ვნახე რომ ჩემთან შემოსულიყვნენ ადგილობრივი მფლანგველთა ჯარი.

წინ მიუძღოდა მათ ნეფარიძე. მისი ამქრები მარჯვენა ხელი: ჯერ ბულაშვილი და ბელუხაძე, (კარგად არ ვიცი მათი სახელი).

მარჯვით მათ ედგა ალე ქვათაძე. მარცხით—დიმიტრი შალამბერიძე. თვით მოსულიყვნენ, ითხოვდნ დასჯას, რადგან ვერ ვკადრე და მოვერიდე.

ჯერ თაყვანი მცეს მოკრძალებითა, გადამიშალეს სული და გული და სათითაოდ მომიყვენ. ამბავს, თუ რამდენი აქვთ მათ გაფლანგული.

**დიმ. შალამბერიძე:**—პატივცემულნო გუშაგნო საბჭოთა კანონებისა! მართალია მე გაფლანგე 3000 მანეთი, როცა მე ფინომოშუა ვედ გახლდით, მაგრამ მას შემდეგ თითქმის ერთი წელიწადი გადის და თქვენ ჩემი საქმე მაუღის ქვეშ გაქვთ ამოდებული.

**ნეფარიძე** (შალამბერიძეს):—სტუი! მაუღის ქვეშ რაფერ ექნება შემოდებული, როცა მის მაგიდაზე ქალაღი არ არის გადაფარებული?



**შალამბერიძე:**—ასე ამბობენ ასეთ შემთხვევაში... ჰო-და, იმას მოგახსენებდით, რომ მას შემდეგ ერთი წელიწადი გადის. ველოდები გასამართლებას, მაგრამ არ დაადგა საშველი. ვინ იქნება დამნაშავე, რომ კიდევ გაფლანგო? ყოველშემთხვევაში მე არ ვიქნები. მართალია ამჟამად მე ვმსახურობ მოანგარიშედ შორაპნის რკ. გზ. კანტორაში, მაგრამ ნუ გეგონებთ, რომ საშუალება არა მაქვს—გაფლანგო ფული. გთხოვთ, პატივცემულო სასამართლოვ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და გამასამართლოთ. ამისთვის მოვსულვარ შორაპნიდან აქ.

**მმათაძე:**—მე გახლავარ სოფ. ცხრა-წყაროს საბჭოს თავ-რე. დანაკლისი მაქვს 8000

მანეთი. ამგვარად თითოეულ წყაროზე ათასი მანეთიც არ მოდის. მაგრამ მაინც გთხოვთ დროულად მოჰკიდოთ ხელი ჩემი საქმის გარჩევას, თორემ თითოეულ წყაროზე მალე გახდება დანაკლისი ათასი მანეთი. მართალია, თქვენ არ შეგვაწუხებ და არ გააჩივებ ჩვენი საქმე, მაგრამ გვაპატიეთ, რომ ჩვენ გაწუხებთ.

**ნეფარიძე:**—პატივცემულნო! მე ფინომოშუა ვახლავარ. არ მინდა თქვენი ისედაც დაღლილი ყურადღება მივიქციო. მაგრამ ძალიან გთხოვთ ჩემი საქმეც დააჩქაროთ, თორემ ისეთი მადა მომდის ჰამაში, რომ ჩემს მიერ გაფლანგული 4500 მანეთი ვერ დააკმაყოფილებს მადას. გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და მალე აღმიკვეთოთ მადა, თორემ... თორემ მერმე არ ვიქნები პასუხისმგებელი. რა არის ბოლოსდაბოლოს? რა გახდა ასეთი ჩვენი საქმის გარჩევა. მე კატეგორიულად მოვითხოვ ჩვენი საქმის გარჩევას!—და ნეფარიძემ ხელი დაჰკრა მაგიდას.

ხელის დაკვრის ხმაურობაზე გამოეღვიძა სასამართლოს თავმჯდომარეს.

— მადლობა ღმერთს სიზმარი ყოფილა. ვინ გაარჩევდა ამდენ საქმეს, ეს რომ ცხადი ყოფილიყო!—გაიფიქრა მან და გადაგორდა მეორე გვერდზე ისევ დასაძინებლად.

ი ელი

ვაშინგტონი ფითრდება. იცის მან, რასაც ნიშნავს ეს ქული, მაგრამ...

რალა მაგრამ: ფაქტიურად სადილის დროა. ერთი სიტყვით, ხუთმანეთიანი ქული ხუთმეტი თუმანი ჯდება.

მეშვიდე დღეს:  
— გიტო, იცი რა გევიგე?  
— სუ, გაჩუმდი, საშინელი არაფერი თქვა!  
— საშინელი კი არა, სეითო ჩამოსულა მოსკოვიდან და ნაყიდები ჩამოუტანია!

— მამა ნუ წაგიწყდება!  
— გეფიცები ყველაფერს!  
— მომკალი და ესაა!  
— ოჰ! დეიწყე ახლა პატივი! აგერ დაუძახებ თუ გინდა! სეითო!

მოდის სეითო. საუცხოოდ გამოწყობილია.  
— შენ მომიკვდი ბარემ სეითავ! მოდი გაკოცო ეს რაები გიყილია ბეჭო?

ირკვევა, რომ სეითოს უყილია: პალტო, კოსტიუმი, პატეფონი, სერვიზი და ხელით საკერავი მაშინა ცოლისთვის.

— ხო და აპა ახლა მე მკითხვით!— ამბობს გიტო და სამიოდე საათის შემდეგ ადგენს მაყარჩის ანგარიშს:

1. პალტო დრაფის . 50 მანეთი.
2. კოსტიუმი . . . . 50 "
3. პატეფონი . . . . 60 "
4. სერვიზი . . . . 30 "
5. მაშინა . . . . 80 "
6. სხვა წვრილმანი . 50 "

სულ 320 მანეთი.

— სეითო, მობურნდი აქეთ!  
— რა გინდათ ბიჭო?  
— რა გვინდა და იმ მოსკოვში უფასოდ რომ გიყილია ყველაფერი, მაგას მაყარჩი არ უნდა ა! წეიკითხე ეს სია და თუ ბევრია, თითონ თქვი!

სეითო კითხულობს სიას.  
— თქვენ ხომ არ გაგიყდით! იმდენი დამეხარჯა და ეგენი კიდევ მე მთხოვენ მაყარჩის.

— დედეია! ამას უყურეთ! ათი ათასი მანეთის საქონელი ორი ათასად უყილია და სამას მანეთზე უარს ამბობს! არ წამოხვალ ხომ? ავდგებით და სახლში მოვალთ! მეტი დაგიჯდება.

— მობრძანდით, მოგიკვდეს, ვინც არ დაგიხვდეს!

— არა მართლა, გეხუმრებით, სახლში რა გვინდა! „ჩამაცეცხლემი“ ისეთი გოჭია შემწვარი, რომ კანი ასკდება! ჰე აპა! ჩვენც ქე დაგხარჯავთ!

მიდიან „ჩამაცეცხლემი“.  
მერვე დღეს:

— გიტო, ახალი ამბავი გევიგე? სიგიზმუნდები დააწინაურეს და ინკასატორათ გადაიყვანეს

- კაი ერთი, ნუ მომკალი!
- გეუბნები დააწინაურეს!
- არა, ლოთიანად?
- ფაქტია!
- ჩემ თავს გაფიცებ!
- გეფიცები ყველაფერს.
- კაი! აპა ახლა მე მკითხე მაყარ... და ა. შ.

ალ. მალუდაკია





# აქხანუო ნიანგო!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ამხანაგო ნიანგო!

მე ვარ (უფრო სწორად — ვიყავი) სამღებრო დიდი ქვაბი და ვეკუთნოდი ქიმიური სამღებრო კომბინატს, რომელიც არსებობს საქ. სოც. უზრ. სახ. კომისარიატთან.

ერთ დღეს მოვიდენ ჩემთან და გამომცადეს გვერდებიდან გამომადნეს 650 კილოგრ. ტყვია, რომელიც ბაზარზე გაყიდეს.

რა თქმა უნდა, ასეთი ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მე მუშაობა ვერ შევძელ და წარმოება გაჩერდა.

გაიგეს ეს ამბავი და მოვიდენ საქმის გამოსარკვევად.

თქვენს მტერსა და ორგულს რაც ამბავი დატრიალდა კომბინატში. ახვერდოვმა ისე მაგრაღ ლეწა კალანდაძეს სახეში, რომ ბითაძე



მაგიდის ქვეშ აღმოჩნდა შემალული. ვინ იცის საქმე რითი გათავდებოდა, რომ გოდერძიშვილი და კიკაჩიშვილი არ ჩამომდგარიყვნენ მათ შორის.

გთხოვთ შეეკითხოთ კომბინატის ბუჯხალტერიას: სად გაქრა ჩემს ტყვიაში აღებული ფულის დიდი ნაწილი?

## ამხანაგო ნიანგო!

დაბალი ეწრის (მახარაძის რაიონი) კოოპერატივის ნოქარმა დათიკო ვასაძემ გადაჭრებით შეასრულა გეგმა... ფლანგვაში: 2000 მან. ნაცვლად გაფლანგა 2-500 მან.


სამაგიეროდ მთის-პირის კოოპერატივის ნოქარმა ნიკ. ინწკირველმა რევიზიას ვერ მოასწრო ზედმეტად აღებული ფულების გადამაღვა. (ზედმეტ ფულს იღებდა შემდეგი ოინით: პურის ფქვილს ურევდა მკადის ფქვილს).

სოფ გვაბრათის კოოპერატივის ნოქარმა კოწია გიორგაძემ თავისი ძმაბიჭებისა და მოყვრებისათვის გადაინახა 180 შეკვრა ჩაი, 10 წყვ. ქალის ფესაცემელი, კრებდიშინი, აბრეშუმი და 50 ცალი ვერცხლის მანეთიანი.

„წმინდა სამება პასუხისგებაში არიან მიცემულნი, მაგრამ სრული იმედი აქვთ, რომ მალე გავლენ მშრალზე“, რადგან იოსებ ჯანელიძე მათი მფარველია. (აღბათ ხელი ხელს ჰბანს, ორთავენი კი პირსაო).

## ამხანაგო ნიანგო!

მე ვარ გურჯანის ფოსტა-ტელეგრაფის ცხენი. ვიცი ჩემი პირდაპირი მოვალეობა — ვემსახურო რაიონს ამანათების გადატან-გადმოტანაზე. ამას დღემდე პირნათლად ვასრულებდი, მაგრამ ამიერიდან აღარ შემეძლება, რადგან არაქათი წამართვეს მ. ფურცელაძემ და კ. ჩოჩიელმა.



ეს ვაჟბატონები ყოველდღე დადიან საქეიფოდ. იარონ ამისი საწინააღმდეგო მე რა მექნება? ეს რა ჩემი საქმეა? მაგრამ მე რას მერჩიან? გამაბამენ საფოსტო ლინეიკაში და, ჰაიდა, დამცხებენ მათრახს და გამაქროლებენ. თითონ გათენებამდე ქეიფობენ. მე კი ამ დროს მშიერ-მწყურვალნი ველოდები ლინეიკაში გაბმული.

დათრობის შემდეგ ატეხენ ჩხუბს და ერთმანეთს დასცხებენ არც ამისი საწინააღმდეგო მაქვს რამე, მაგრამ ერთმანეთის ჯავრს ჩემზე იყრიან და უმოწყალოდ მკემენ, რომ შინ აღრე დაბრუნდენ და სამსახურში წასვლამდე გამოიძიონ. მაგრამ ვერ ასწრობენ გამოძინებას და, დღეებს აცდენენ. არც ეს არის ჩემი საქმე (ვისიც არის, იგი ყურადღებას არ აქცევს), მაგრამ რას ერჩიან სხვა მუშაკებს, რომლებსაც რევილვერით ემუქრებიან? შეიძლება არც ეს იყოს ჩემი საქმე, მაგრამ გეკითხებით თქვენ:

— როდის მოელება ბოლო ამ უმსგავსოებას და ვინ მიაქცევს ჩვენს ფოსტას ყურადღებას?

## ამხ. ნიანგო!

შარშანწინ, ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავზე, ჩვენს კანტორაში (კიროვის რაიონის მესამე ქვერაიონის კანტორა) გამოვიდა კედლის გაზეთის საოქტომბერო ნომერი ხელმეორეთ, რომ წვალება არ დაგვკირებოდა, გაზეთი არ ჩამოგვიღია და 17 წლისთავისათვის ვინახავდით. საჭირო იქნებოდა მხოლოდ თექვსმეტის ჩვიდმეტად გადააკეთება და ახელი კედლის გაზეთი უკვე მზად გვექნებოდა. მაგრამ ვილაც შავბუნელმა პიროვნებამ მოიპარა წვითა და დადაგვით კედელზე ექვს თვეს შემონახული გაზეთი. ოქტომბრის ჩვიდმეტი წლისთავზე ისევ გამოუშვით, ახალი ნომერი, მაგრამ გაზეთი, რომ არ დაკარგულიყო და თვრამეტი წლისთავისათვის ისევ წვალება არ დაგვკირებოდა, შემდეგ გამოგონებას მივამართე: გაზეთზე კანტორის ბეჭედი დავარტყი. და ამრიგად დღემდის ხელიც არავის უხლია გაზეთისათვის. ახლა რომ მოიპარონ კიდევაც, პოვნა ადვილია, ზედ ჩვენი კანტორის ბეჭედი არტყია. ამ გამოგონებაში ჯილდო უნდა მოეცათ, მაგრამ ავტო უკვე მესამე თვეა მიდის და შეუფასებლობას ბოლო არ ეღება. გთხოვთ მასწავლო რამე ამხ. ნიანგო, როგორ მოვიქცე?

კანტორის მოანგარიშე: მანო სანაძე

## ამხანაგო ნიანგო!

მე ვარ სოფ. კაკაბეთის (საგარეჯოს რაიონი) კოპერატივი, რომელიც სულს ვლაფავ და ვიჩქარი გაცნობო ჩემი მდგომარეობა.

არ ვიცი, რატომღაც კულაკთა, მღვდლის შვილთა და ყოფილთა თავშესაფარი გავხდით. არ მახსოვს, რომ ამ ბოლო დროს ვულშემატკივარი გამგე ან ნოქარი მყოლოდეს. არც ისე დიდი და შეძლებული ვარ, რომ ყველამ მჭამოს და ყველას ვეყო. სოფლის კოოპერატივი ვარ. ეჭვ, რა კარგად წავიდოდა ჩემი საქმე, რომ არ შემომჩვეოდენ ეს საეჭვო პირები და არ გაეფფლანგე!




გამიგონია ასეთი ამბავი: თურმე ილია ჭავჭავაძეს უთხრეს, რომ შემოსავალს ჰპარავდა მოურავი, რომელმაც სახკარი აიშენა და თითონაც გასუქდა. ურჩევდენ, რომ მოეხსნა მოურავი.

— არა, არ მოეხსნა. — უთხრა ილიამ მათ. — მაგი რომ მოეხსნა და მაგის მაგიერ ახალი ავიყვანო, ისიც ავრე მოიქცევა. ეს კი უკვე გამძღარი და სახლკარიც აშენებული აქვს. აწი ნაკლებს მოიპარავს!

ჰოდა, ეს მომავონდება, როცა ჩემს თავზე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პატ.-ც. ილიას აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მავენს მოეხსნით, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარე უ. ბეჟანიშვილი რომ არ ხსნის ყოფილ სპეკულიანტს და ხმაჩამორთმეულ ყარამან ავთანდილოვზე?

კი, მართალია, ბეჟანიშვილი ავთანდილოვის სახლში ცხოვრობს. ისიც მართალია, რომ ხშირად მობინადრე და სახლისპატრონი ვახშამს ერთად შეექცევიან აივანზე. ისიც მართალია, რომ ბეჟანიშვილის ოთახში ჰკიდია ყარამან ავთანდილოვის გადიდებული სურათი, რომლის გვერდით ბეჟანიშვილმა ლენინის სურათიც ჩამოჰკიდა, მაგრამ... ეჭვ, რაღა მაგრამ... მაგარი ის იქნება, რომ გამოჩნდებოდეს მაგარი ხელი...





—ბიჭოს, შენც აქ ყოფილხარ? გამარჯობა შენი, ძმობილო! ბოხი ხმით გადასძახა ვეებერთელა ზარბაზანმა თავის მეზობელს, რომელიც მასთან და სხვა სამხედრო იარაღებთან ერთად ერთ-ერთ უდიდეს ნავთსადგურის საწყობში იდგა და გემებს უცდიდენ თავის „დანიშნულების ადგილზე“ წასასვლელად.

—აქა ვარ. გაგიმარჯოს. საით მიემგზავრები?

—არ ვიცი.  
—შენ?  
—არც მე ვიცი.

—საიდან იცნობთ ერთი მეორეს?—ჩაერია თავსებური ბარბატონით მესამე ზარბაზანი, რომლის აგებულება ამჟღავნებდა, რომ ის წინა მოსაუბრესაგან საცხებით განსხვავებული მოდგმის უნდა ყოფილიყო.

—როგორ თუ საიდან? ტყულები ვართ: ორივე ერთი დედის ნაშობი გახლავართ.

—მაინც ვინ არის დედა თქვენი?

—ორივენი კრუპის ქარხანიდან ვართ გამოსულნი. აქ ჩვენს გარდა სხვებიც არიან ჩვენი ტყულები.

—მერე ვერ შეიტყვეთ საით მიდიხართ?

—არ ვიცი, პატრონმა გაგვიცა და..!— თქვა ისევ მეორემ.

—მე ვიცი!—წამოიძახა მესამემ.

—მეც ვიცი: უცხოეთში მივიღვართ!—წამოიძახა მეოთხემ.

—როგორ, უცხოეთში! ჩვენ-გერმანული, ესე იგი არიული ფირმის ზარბაზნები უცხოელებს უნდა ვემსახუროთ?—არასოდეს, მაგ დღეში ჩვენი გამზინი, ქალარა არიელი კრუპი არასოდეს არ ჩაგვაყენებს. მაგისტანა საქმეს ძია ბოლენი, ჩვენი ძია კრუპის ფონბოლენი თავის დღეში არ იკადრებს!—ჩაერია ლაპარაკში უფრო მორჩილი ტანის ზარბაზანი.

—შენ რა იცი: მე მკითხე, იკადრებს თუ არა!—წარმოსთქვა მესამემ შენ გუშინდელი ბავშვი ხარ, მე კი, ვინ იცის რა არ მახსოვს იკადრებს. ყველაფერს იკადრებს.

—ზეპირად ამბობ!.  
—იკადრებს.  
—ძიამ პოლიტიკის არაფერი იცის.  
—ძია თავისთვის მუშაობს.

—დაშვიდებით და თავაულებლად მუშაობს!—ალაპარაკდენ სხვები.

—გცოდნიათ, ძია ბოლენმა სწორედ მაგი სიტყვები თქვა ამ სამოციოდე წლის წინად: მე პოლიტიკის ბევრი არაფერი მესმის, მე ჩემთვის ვმუშაობ დამშვიდებითო. და მართლაც ძია კრუპი სულ მუდამ დამშვიდებით მუშაობს; დიდი შრომის მოყვარეა. თან მეტად ხათრიანია და ვერავის უარს ვერ უბედავს შეკვეთის მიღებაზე. იგი გერმანიის მტერსა და მოყვარეს ყველას ერთგულად ემსახურება: მან შემოსა ფოლადის ჯავშნით მსოფლიო ომის წინ ინგლისის, საფრანგეთის, ჩრდილო ამერიკის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო გემები. სკანდინავიელ სამხედრო ფირმების მეშვეობით ის აწოდებდა იარაღს ბელგიას, ინგლისს, საფრანგეთს. ერთი სიტყვით, ძია კრუპი უბრალო არიელი ხომ არ არის? იგი კომერსანტი არიელაა და მისი ლოზუნგი ასეთია:

„ვის რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.“

—ვიზე ლაპარაკობ მაგას ძმობილო?—ჩაერია ლაპარაკში მეექვსე ზარბაზანი.

—ძია კრუპის შესახებ ვთქვი.

—მე კი ჩემს ყოფილ პატრონზე მეგონა ლაპარაკობდი. რადგან რაც შენ თქვი, მგ ყველაფერი სწორედ მას შეეხებოდა.

—ვინ არის შენი ყოფილი პატრონი?

—ბაზილ ზახაროვი. ერთი „საწყალი“ მილიარდერი კაცია. ტომით ბერძენი, ინგლისის უდიდესი სამხედრო ფირმის „ვიკერსის“ ისე ატრიალებს ხელში, თითქოს „ვიკერსის“ ბრიტანეთის უდიდესი სამხედრო ფირმა კი არა, ლილახანაში დაგდებული ლახუსტაკი იყოს. ძალიან უყვარს მშობლიური საბერძნეთი, მა-

გრამ ისიც ისე ხათრიანია, რომ შეკვეთების მიღებაზე უარს ვერავის ეუბნება. საბერძნეთურქეთი ომის დროს ორივე მხარეს აიარალებდა და თან გულში ისიც ასე ლიღინებდა:

„ვის რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“

გარეგნულად რომ შეხედავ იადონის გამომეტყველება აქვს. გულითაც საწყალი კაცია: ისე საწყალია, რომ ერთხელ ქურდობაშიც კი დაიჭირეს და საპატიმროში ჩასვეს.

—ძია ფრიცისთანა საწყალი მაინც არ იქნება!—წარმოსთქვა მესამემ.

—ვინ არის ძია ფრიცი?

—გერმანელი ძიაა, ფრიცი ტისენი, განა არ იცით? მეტ სახელად „რუსის მეფეს“ ეძახიან. მის ხელშია თითქმის გერმანიის ფოლადი. ნუ თუ ჯერ არ იცნობთ?

—ჰო, გაგვიგონია! დაუდასტურეს აქეთ-იქედან

ფოლადი მის ხელშია, მაგრამ „საწყალი“ რატომ ეთქმის?

—ძალიან ზრუნავს გერმანიის ძლიერებაზე და სამშობლოსათვის არაფერს იზურებს. მაგრამ იმდენად საწყალი კაცია, რომ მსოფლიო ომის დროს სამხედრო ფარები, რომელსაც გერმანიის სამხედრო უწყებამ 117 მარკად აძლევდა გერმანიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს 68 მარკად დაუთმო. თავისი სულგრძელობით ნამდვილი არიელია.

—საწყალა, მართლაც ნამდვილი არიელი ყოფილა.

ამ ლაპარაკში ნავთსადგურის ახლოს მომდგარ გემების საყვირის ხმა მოისმა.

ნავთსადგურის მომუშავეები საწყობში შემოვიდნენ და დაიწყეს მოსაუბრეთა მომზადება სხვა გემებზე გადასატანად.


გამოთხოვებისას გაისმა მათი უკანასკნელი დიალოგი:

—სად გავზავნიან, თუ შეიტყვე?

—ალთას.  
—შენ?  
—ბალთას.  
—მშვიდობით მალე შევხვდებით ერთმანეთს!







გერმანელი ფაშისტი (პოლონელს):—მომეშველე მეგობარო, რომ შენსკენ გადმოვიდე, და შენც მოგიჭრი მაგ შენი კერძის ნაჭერს!

# გენერალი

„გენერალმა პურტალასმა დაამყარა ლაყბობის მსოფლიო რეკორდი. ამ პროფესიონალმა მოლაყბემ ილაპარაკა 120 საათი 7 საათის გამოკლებით (ძილისათვის) ამ დროის განმავლობაში პურტალასი როშავდა რაც პირზე მოადგებოდა“.

— პურტალას! პურტალას!—ვიძახი მე და შუბრით მეგვება გული.

განა შენ უნდა გქონდეს მსოფლიო პირველობა ლაყბობაში? ეს სამართალია?

მომეცით მე უფლება ჩამოვაყალიბო მოლაყბეთა რაზმი, მომეცით უფლება და დრო გაეწვრთნა ისინი როგორც საჭიროა მიეცე მათ ნიქს ფართო გასაქანი და ნახეთ, თუ ორიოდ წლის განმავლობაში სამუდამოდ არ გამოვადრო პირველობის ხალიჩა გენერალ პურტალასს.

გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ორიოდ წლის განმავლობაში; მაგალითად ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარიდან მე ჩაგაბარებთ ლაყბობის მსოფლიო ფალაგანს, ოღონდ მომეცით საშუალება თვითეულ კრებაზე ვალაპარაკო ურეგლამენტოდ. გიყურებიათ თქვენ მისთვის? შეგიძინებიათ, როგორ სჩქეფს მასში პურტალასის მძლავრი ნიქი?


... რომ დაიწყებს მოხსენებას საწვევო ანარიცხების დავალიანების შესახებ და ერთბაშად გადავა მემარჯვენე ოპორტუნის-

# პურტალასი

მზე, როგორც მთავარ საფრთხეზე თანამედროვე ეტაპზე, შეეხება საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას საუკეთესო რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, მოსავლის აღებას უდანაკარგოდ და მოსდებს ხელს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, უტრიალებს მას ყოველმხრივ და ხანგრძლივი „ტრიალიზაციის“, შემდეგ დაყვინთავს ჩაიძირება მარქსისტულ ლენინურ თეორიაში, დამკვრელობისა და სოცშეჯიბრების ნიჩბით გამოსტურავს ნაპირზე და მიადგება მსოფლიო ომის საფრთხეს. გაკვრით გადათელავს მუშების მოარაგების საკითხს და გადაშლის ახლო მომავალში ფუნიკულიორზე ექსკურსის მოწყობის პერსპექტივას, და აგერ... უეცრად თქვენს თვალწინ გადაიშლება ფაშისტური ჯურღმულების მთელი საშუალება. უნდა მოისპოს ყოველგვარი წუნი და დანაკარგი, რაც ადგილკომის თავმჯდომარის ბესოს პროგნოზით უკავშირდება იტალია-აბისინიის კონფლიქტს... აგერ აბისინიის ნეგუსი ბებუთით მუცელს უფატრავს მუსოლინის, რომელსაც ნეგუსისათვის დაუმინებია ავტომატიური რევოლვერი, მაგრამ იგი „პუგაჩია“ არსებითად...

(გაგრძელება იხ. მე-7 გვ.)





კრება უხუცესმა ბაყაყმა გახსნა და გამო-  
აცხადა:

— სიტყვა ეკუთვნის ჩვენს ამერიკელ  
მომძენს ნისტერ ღვაჭიკ ბაყბაყსონს:

წინ წამოდგა ერთი ბრგე ბაყაყი. ჯერ მან ფრაკი და ლალს-  
ტუკი გაისწორა; შემდეგ ჩიბუხს მოუკიდა და დაიწყო:

— ძმობილნო, მე ვარ კულტურული ქვეყნის შვილი. ჩვენ იქ  
მოგვესმა თქვენი გულშემზარავი მოაქმა. ალბათ ახლო ხანში მთე-  
ლი კოლხეთი ციტრუსების ბაღებად გადაიქცევა. თქვენ კი თავშე-  
საფარც აღარ გექნებათ მთელ საბჭოთა კავშირში რადგან ქაობე-  
ბის ამოშრობა ყველგან ხდება.

— სწორია... ვნადგურდებით... ვისპობით! — აყაყანდენ ბა-  
ყაყები.

— ასე შევიწროვებული ხართ თქვენ, მაშინ როცა ჩვენ, თქვენი  
მომძენი დიდ პატივისცემაში ვართ იქ.. თქვენ გეცოდინებათ ძველი  
არაკები ჩვენს შესახებ: ჩვენმა წინაპრებმა თურმე ღმერთს სთხოვეს,  
რომ მათთვისაც მიეცა მეფე, როგორც ეს ყველას ყავდა. ახლა კი  
საქმე სხვანაირად არის. ახლა ბაყაყი დედოფლად არის გამოცხადე-  
ბული. ერთმა ბაყაყმა, რომელსაც ვილარეტი ჰქვია, ამას წინად  
„კარალევას“ სახელწოდება მიიღო, რადგან მან ბაყაყთა დოღში  
რომელშიაც მონაწილეობდა 175 ბაყაყი, დაამარცა ყველა მეტოქე  
და გააკეთა სამ მეტრიანი ნახტომი.

ამერიკაში გასართობებს პატრონებმა მაყურე-  
ბელთა მიზიდვის მიზნით შემოიღეს ბაყაყთა დოღი...  
ამიტომ ბაყაყების მოშენებას ხელი მიჰყვეს სოფლის  
მეურნეობების გაკოტრებულმა ფერმერებმა.

— ხტომა ჩვენ კარგად ვიცით! — წა-  
მოიძახა ერთმა ბაყაყმა, მაგრამ მომხსენებელს  
მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— წარმოიდგინეთ თქვენ თვალუწვდე-  
ნი არენა-პიპოდრომი და 8.000 მაყურებელი, რომელიც ტაშითა და  
ოვაციებით ხვდება კარალევა ვილარეტს.

— დოღი რა არის? — იკითხა ვილარეტმა.

— აი, ცხენებს რომ აქენებენ! — უპასუხა მეორემ.

— ჰო, სწორედ ასეთი გასართობებში ამერიკელები ნაკლებად  
დადიან, რადგან საერთო კრიზისმა ხელოვნებაშიც კრიზისი შექმნა.  
ამიტომ მაყურებლების მიზნით შემოიღეს ბაყაყების დო-  
ღი. მიზანს მიაღწიეს. ჩვენს დოღს აუარებელი ხალხი ესწრება. ჩვენს  
მოშენებასა და გამოავლებას ხელი მიჰყვეს ფერმერებმა. ისინი ანად-  
გურებენ თავიანთ პლანტაციებს და ბაყაყების ფერმებს აწყობენ,  
აი, რა განსხვავებაა თქვენსა და ჩვენს შორის; აქაურობას და იქაუ-  
რობას შორის: აქ ქაობების ამოშრობა ბაღებისათვის; იქ კი ბაღე-  
ბის განადგურება ჩვენს მოსაშენებლად ამიტომ გირჩევ, მალე და-  
ტოვებთ თქვენი მიწა-წყალი და წამოდიეთ ჩვენთან, სადაც ასე დიდ  
პატივს გვცავენ.

მომხსენების შემდეგ ძვირფას სტუმარს გაუმართეს კონცერტი

ზმ.

როცა რწმენით გზას ინათებს  
ქალბატონი დოროტი,  
რას დააკლებს იმის, სხეულს  
მაშინ სული ბოროტი!

თუმცა რწმენა უფლისადმი  
აშკილიდან დავარდა  
და ბევრ ადგილს რწმენის ნაცვლად  
ცეცხლის ალი ავარდა.

მაგრამ დოროტს მტკიცე რწმენას  
ვერავეინ შეუღალახავს,  
ხუმრობაა? — სულთან მობრძავს  
მაცხოვარი უნახავს.

უნახავს და მისი ნახვით  
კიდევ გადარჩენილა  
და „იმ ქვეყნად“ მიმავალი  
აქვე კვლავ დარჩენილა.

## მ გ ზ ა მ რ ე ბ ი

„ინგლისის კონსერვატორული გაზეთის“ „დე-  
ილის ტელეგრაფის“ ცნობით ვილარეტს  
დოროტი, კირინმა მძიმე ავადმყოფო-  
ბის დროს სიზმალში ქრისტე ნახა და ნა-  
ხვითანავე განიკურნა“.

ეფინება ხმა ქვეყანას  
„დოროტს ქრისტე ესიზმრა“  
და იზრდება აღტაცება  
კონსერვატულ პრესისა.

დე იხარონ! მაგრამ ერთს-კი  
ვფურჩევ კონსერვატორებს:  
ქრისტეს ნახვა რაკი კურნავს  
სენისაგან ბატონებს.

და სენი კი თუნდ კრიზისი,  
რაკი მუსრავს კაპიტალს,  
მუსრავს ისე, რომ სხეული  
მას ვერაფრით გადიტანს, —  
და რაკი ხსნა ერთად-ერთი  
ქრისტეს დანახვაშია,  
დაე, ქრისტეს სანახავად  
გადაბარდნენ ცაშია.  
მაშინ მათ სულს  
განათლებულს  
თან გაუვება შეგნება,  
რომ წყალს კაცი სითაც მიჰყავს,  
გზაც იქითკენ ექნება.  
კაპიტალიც ასეთ მგზავრს ჰგავს,  
ავონია იღვიძებს;  
მომაკვდავი შფოთავს, ბორგავს,  
„ცისკენ“ მიყავს კრიზისებს.



კარაბადინში სწერია: „ხოლო რომელიც იშვას მთვარესა ძველს, ამიდსა უქაროს, ცხოვრებას მშვიდათ ვაატარებდეს. დიდხნის სიცოცხლე ექნეს“.

იმ დღეს, როცა პარმენ კვირია დაიბადა, თვე იყო ივნისი, დილა წყნარი და მზიანი, ღამით მთვარე პირსავეს.

ადამიანს არ ეკითხებიან როცა ბადებენ: სურს თუ არა მას გაჩენა. მას მხოლოდ აიძულებენ იცოცხლოს. სამაგიეროდ ამ შემთხვევითი დღიდან უკანასკნელი წუთამდე მთელი მისი ცხოვრება „კითხვას“ წარმოადგენს. მისთვის ყველაფერი გაურკვეველია, ამ უცნაური ამოცანისა და საიდუმლოს წინაშე და ათასგვარი საკითხთ აწვალებს თავს.

გაჩენის წუთიდან პარმენის ცხოვრება დიდხანს მდინარებდა სიმშვიდეში. გარემო ქვეყანა მისთვის დამდგარი ტბორი იყო, თვალუწვდენი და უნაპირო. თუ მის ზედაპირს ხანდახან უცაბედი ქარი აამღვრევდა, პარმენი შესძვრებოდა ოთახში როგორც ლოკოკინი ქერქში, ჩაჰკეტდა გულსაც და გასუდრული უცდიდა გამოდარებას.. ქარიშხალი გადაივლის და გარემო ისევ ტბორი იქნება, ყუდრო და თბილი.

ასე შეხედეს კვირიას ჩხაკმა თვალბმა ქვეყანას და გულმაც სიმშვიდე მოიპოვა.

უნდოდა ეს სიმშვიდე მარად ჰქონოდა გულში. მაგრამ ერთხელ ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ისე ძლიერად გადაიარა მან, რომ ტბორი წალეკა და ახვეტა, რაც ასახვეტი იყო.

პარმენ კვირია შემთხვევით გადაურჩა ამ ქარიშხალს.

ერჩია კი, არ გადარჩენილიყო.

უცადა დიდხანს თავის ამინდს. ეგონა ქვეყანა ისევ ძველ სახეს მიიღებდა. უცადა, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა.


ბევრი იფიქრა თავის ბედზე პარმენმა. ბოლოს დაშინდა, დაფრთხა. ახლა უკვე ყველაფრის ეშინოდა, ყველაფერს გაურბოდა. არაფრის სურვილი აღარ ჰქონდა. დარჩა მხოლოდ ერთი, მისთვისაც გაურკვეველი, სურვილი: ეცოცხლა. მხოლოდ ეცოცხლა. მეტი არაფერი. ესუნთქა, ჰაერი ეყლაპა, გულის ძვერა ეგრძნო. რომ ცოცხლობს, მაგალითად, ჭია; მუდო, მახრა, მწერი!

იქნებ ეს სურვილიც შიშით იყო გამოწვეული.. შიშით სიკვდილის წინაშე.. ეს ცხოვრება საშინელებათ ეჩვენებოდა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სიკვდილის შემდეგ მცირე ცხოვრება არსებობდეს და კიდევ უფრო საშინელი იქნეს?!

ზაფხულის თვეები ყველაზე საშინელი დრო იყო პარმენისათვის. მოქალაქენი დილიდანვე ქუჩას ეტანებიან. რალაც სხვანაირად, თითქო მის ჯინაზე, გადამეტებით ხმაურობს ტრამვაი.

დილიდან შუალამემდი ცხელ ოთახიდან გამოჩევილი ბავშვები ფანჯრებს წინ შეუსვენებლივ ცელქობენ. ყველგან და ყველას ღია აქვს ფანჯარა. რომ შეეძლოთ ალბად კედლებსაც გასწევდენ და გაიშლიფებდენ. მზეც ქორიკანა დედაბერივით ტუტუტურად იჭვრიტება და თუმცა პარმენი ცდილობს ფარდებით თავის დაცვას, ოქროს სვეტი ოთახში მაინც იჭრება და იატაკს ეფინება.

დილით, სანამ ქუჩაში გავიდოდა, პარმენი ყოველთვის ტემპერატურას გაისინჯავდა. თუ რატომღაც ერთი ტემპერატურის სისწორეში დაეჭვდებოდა, მეორეთი გაისინჯავდა. ხანდახან კი ორივე ილღიაში ერთსადიამავე დროს ედვა სიცხის საზომები.. და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დარწმუნდებოდა ტემპერატურა ნორმალური მაქვსო, ქალაქში გასვლას გაბედავდა.



გადიოდა ოთახიდან ისე, თითქო ჯვარსაცმელად იყო დაბარებული. დაფრთხალი ნუკრის თვალებით იხედებოდა. თავწაგდებული მიუაჩუაჩებდა. პატარა ნაბიჯით. მარჯვენა ხელი გულჯიბაში ჰქონდა ჩადებული, თითქო ეშინოდა გული ბუდიდან არ ამოვარდნოდა.

ქალაქი სახეს იცვლიდა, შენდებოდა, ღამაზდებოდა. პარმენს კი ამის დანახვაზე ბრუ ესხმოდა.

— რომ აღარ მოისვენა ამ ხალხმა! — ბრაზობდა პარმენი — რალაც ორი დღის სიცოცხლე აქვო, რას დახლაფოროთობენ ამდენს... ამდენი ნგრევა და შენება აღარ გამიგონია!

შინ დაბრუნდებოდა ყოველთვის დაღლილი, ძალა მიღებული დაღვდა ყველაფერი: სიარული, ბალში სკამზე ჩამოჯდომა, ნაცნობის დანახვა, ქუჩის ხმაური, მზე.

დაბრუნდებოდა თუ არა, ტახტზე მიეგდებოდა და ძილად გადაიქცეოდა. გაიღვიძებდა დასვენებული მაგრამ გულში რჩებოდა გაურკვევი შეშფოთება და მოუსვენრობა, რაც ხშირად ძილშიაც ჩაჰყვებოდა. ასეთ ღამეებში

ეისიზრებოდა საოკარი რამ. ხანდახან არაფერი ესიზრებოდა, მაგრამ რატომღაც გამოეღვიძებოდა და ბნელ ოთახში თვალებით დაფოთარობდა. თუ შიშს ველარ დასძლევდა, მაშინ ცოლს გააღვიძებდა და ჩუმად, თითქო ერიდებოდა ოთახის სიჩუმე დაერღვია, კითხავდა:

— დაფინე, ქალო, რომ აღარ გათენდეს ხვალ? წარმოგიდგენია ეს?

ან და:

— დაფინე, არაფერი გესმის? შეიძლება ქვეყანა ინგრევა და ჩვენ არაფერი ვიცით?! ძილით გაბრუებული ქალი შეშინებულ თვალებს მოავლებდა ბნელ ოთახს და წაიბუტბუტებდა:

— თუ ინგრევა, დაინგრეს ბარემ! ამას გამგონე პარმენი ცოლს გუნებაში შეუკურთხებდა, გადაიხურავდა თავზე საბანს და მოიკრუნჩხებოდა.

II

პარმენს ცხოვრება არ უყვარდა, და ამავე დროს გასაოცრად ებლაუჭებოდა მას. მუდამ შიშში იყო სიცოცხლე არ დაჰკარგოდა.

საკვირველი ამბავია: ვისაც ცხოვრება ნამდვილად უყვარს და სურს კარგი და გონიერი გახადო ის თავისთვისა და სხვისთვისაც, თავისი თავი არ ეზოგება, თავისი სიცოცხლე ხშირად სასიკვდილოდ გაუმეტებია. საოკარია, მაგრამ შიში სიკვდილის წინაშე უფრო ხშირად იმ ადამიანს აქვს, ვისაც არც თავისი და არც სხვისი ცხოვრება არ უყვარს.


ყველაფერს, რასაც ადამიანი უფრთხის და ერიდება, რისი დანახვაც ჩვენში მხოლოდ მწუხარებას იწვევს, პარმენი თავისთვის იმარაგებდა. დანახავდა აფთიაქში სიცხის დროს თავზე დასადებ ყინულის ბალიშს—იყიდა. გაიგონებდა, რომ ქალაქში დიფტირიტია—ხსნარს შეიძენდა. ქუჩაში გავლისას სადაც კი ექიმის გვარს წაიკითხავდა, უბის წიგნაკში მის გვარს ჩაიწერდა. ექიმები მათი სპეციალობის მიხედვით ჰყავდა ჩამოწერილი. ვინ იცის რომელი რა დროს საჭირო გახდება! ოთახის ყველა კუთხეში გაკეთებული ჰქონდა თაროები, სადაც ელაგა შუშები წამლებით, ფხენილები, პინცეტები, შეკინძული რეცეპტები. უჯრაში ელაგა ჰქონდა საექიმო ხელსაწყოები, ბამბაში გახვეული დანები, მრავალნაირი იარაღი.

პარმენს ძლიერ უყვარდა თევზი, მაგრამ ფხა აშინებდა. თევზებში ამიტომ ლოქოს სჯერდებოდა. და ვინაიდან ლოქომაც იცის ფხა, ყოველშემთხვევისთვის იყიდა ისეთი იარაღი, რითაც ექიმები ყელში გაჩხერილ ძვალს ამოათრევენ.

ერთისიტყვით პარმენი ყოველნაირად იარაღდებოდა სიკვდილის წინააღმდეგ. ყველაფერსა და ყველასში ის ხედავდა მხოლოდ

6






გონიჭ

- დედილო, მამა თ პორტუნის ტია?..
- რატომ გგონია?
- ასე მითხრა, ქუჩას რომ გაღადინარ, ჯერ მარცხნით მიიხედვ და მერმე—მარჯვნივით!



7. რაიონში ვაუი  
მფიცავს მზეს და მთვარეს...  
მეუზოვე მაინც  
აბრიალებს თვალეებს:  
— მაგია, რაც არის!  
მოანსენებს უფროსს.  
და საწყალი ვაუი  
აღშოთღება უფრო.

— ჩახვით... სთქვა უფროსმა,  
ვაუს თქმა არ აცალა.  
ამ დროს ვილაც ვაუკაცს  
მოყავს ის პაცანა.  
გამურული ბიჭი  
უიმედოდ ხენეშის  
და უქირავს თანაც  
ჩემოდანი ხელში.




8. განხნეს ჩემოდანი...  
და... თ!.. სასწაული...  
ვაუს კინალამ მაშინ  
შეენუთა სული.  
— ეს ჩემია ყველა!..  
ბოლოს დაიგმინა...  
— გაუძარცვავთ აღზათ  
ამლამ ჩემი ბინა.

მეუზოვე ნანობს,  
რომ მიმართა უბანს...  
ვაუი ხინარულით  
ცეკვავს ტანგოს, რუმბახს...  
შინისაკენ მიქრობ,  
თავს არ იკლავს დანით.  
დასთმო სატრფო, მაგრამ  
შერჩა ჩემოდანი.

სინემატო.





## გახსრუებული იველი

### ამბავი მეორე

ხობო დაგვიანებით დაბრუნდა შინ.

ცოლი ღიმილით მიეგება მას და დაგვიანება უსაყვედურა, თუმცა გულში სწორედ დაბრუნებისათვის უსაყვედურებდა.

ხობომ ცოლს წელზე ხელი მოხვია და მიუთარსა. ცუდ ხასიათზე იყო და ცოლისადმი ალერსი ნაძალოდვე გამოუვიდა.

ცოლმა ეს იგრძნო და ხობოს თვალებში ჩახედა.

— ხობონია, რა დაგემართა გენაცვალე. ავად ხომ არა ხარ?

ხობომ იუკადრისა ასეთი შეკითხვა:

— არა, ჩემო გვრიტუნია. ავად ვარა, რა მიგავს, კეტევით ვარ!

ცოლი მაინც არ მოეშვა:

— ხობონია, არ მეტყვი რა დაგემართა? ეგებ ვინმემ გაწყენა. მოგიკვდეს ჩემი თავი? ხობოს გაბრაზება დაეტყო:

— გენაცვალე, ცოტა მოღლილი ვარ და გთხოვ მომასვენო.

უბის ჯიბიდან დაწერილი ლექსი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.

ცოლს წაკითხული ჰქონდა ლექსი (ხობომ ორჯერ წაუკითხა მას, „შავად“ და „თეთრად“ დაწერილი) და გულმა რაღაც უგრძნო:

— კარგად წაიკითხე, გენაცვალე? ხომ მოეწონათ?

ხობოს შეკითხვა არ ესიამოვნა, ცალი თვალით შეხედა ცოლს და პასუხი ესროლა:

— დიახ, კარგად წაგიკითხე, ძალიან კარგად. რაც შეეხება მოწონებას, ტაშის დაუსრულებელი გრიალი თავისთავად ლაპარაკობს მის შესახებ.

ცოლმა გაიკვირვა.

— როგორ, ტაში დაგიკრეს?

— დიახ!

— რას ამბობ? საფლავზე წაიკითხე ხომ?

— მაშ, მკვდარს ხომ ქორწილში არ წაუკითხავდი.

ხობო მიხვდა, რომ ტყუილში ორივე ფეხებით გადბა, წამოდგა, ცოლს შეკითხვა „ბანზე აუგდო“ და უთხრა:

— ამ ცოტა ხანში ჩემთან მოვა მწერალი კოლა მიწურული. ხომ იცი მასთან დაახლოება როგორ მჭირდება. აბა შენ იცი, ჩაით მაინც პატივი ვცეთ. ახლა კი ცოტა მოსვენება მინდა, დაღლილი ვარ.

ცოლი ოთახის კარებამდე მიაცილა, შემდეგ გამობრუნდა და ტახტზე წამოწვა.

ხობო პირაღმა იწვა ტახტზე და ფიქრებისათვის თავი მიეცა.

ფიქრობდა დღევანდელი მისი მარცხის შესახებ.

ასეთი შემთხვევა ვინ იცის კიდევ როდის ექნება მას. მის სიტყვას მოისმენდნენ მთავრობის წევრები და პარტიის ხელმძღვანელები. გაზეთებში დაიბეჭდებოდა და ქვეყანა გაიგებდა, რომ ძველი ბოლშევიკის ვანო ბრძმედაძის საფლავზე ხობო კიკილაძემ წარმოთქვა გრძობიარე სიტყვა და წაიკითხა თავისი ლექსი.

ხობოს აზრით მისი პოეტური კარიერისთვის ამ სიტყვას მეტი წონა და მნიშვნელობა ექნებოდა, ვინემ იმას რომ მას დაეწერა და გადაეხედა ლექსების ერთი ტომი.

— ხუმრობა ხომ არ არის, — ფიქრობდა ხობო, — სიტყვა თქვა ცნობილი კომუნისტის საფლავზე, რომელსაც ესწრებიან ადგილობრივი ხელისუფლების წევრები და პარტიის ხელმძღვანელები.

სიკვდილიც არის და სიკვდილი. ვანო ბრძმედაძის — სიკვდილი, ტრალიკულია, — ის დილუბა თავის მოვალეობის შესრულების დროს!


— ჰეჰ, — ამოიოხრა ხობომ, — ისეთი სიტყვას ვიტყვოდი, ისეთ ლექსს წავიკითხავდი, რომ „ცას ქუხილი დაეწყო“.

მაგრამ ახლა — გვიანაა თითზე კბენა.

ახლა მან უნდა უცადოს როდის მოხდება ასეთი შემთხვევა, შეიძლება მას მოუხდეს ცდა თვეობით და წლებობით, და შეიძლება ასეთი შემთხვევა სულ არ მოხდეს.

მერე და როგორ განზომილი ჰქონდა მას თავისი სიტყვა.

### ამიერ კავკასიის



### საქართველო

ის დაიწყებდა ასე: — ამხანაგებო, მე ამ სიტყვით მივმართავ მსოფლიოს, მივმართავ პროლეტარებს ყველა ქვეყნისას, რომ მათ ჩემი სიტყვა ესმოდეს. ამხანაგებო, ჩვენს წინაშე ძვეს უსულო გვამი ამხანაგ ვანო ბრძმედაძის რომელიც, მართლა მკვდარია და არა ისე, როგორც ზოგიერთი ორატორები იტყვიან ხოლმე „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს“ ისე დაიძინოს ჩვენმა მტერმა და ორგულმა, როგორც ჩვენს ძვირფას ამხანაგს სძინავს.

ამის შემდეგ ხობო შეეხებოდა მის წარსულს, აწმყოს და მომავალს, შეეხებოდა მის როლს ოქტომბრის რევოლუციაში და სხვ. და ბოლოს არ დაივიწყებდა თავის თავსაც, რომ ამხ. ბრძმედაძე მისი საუკეთესო მეგობარი იყო, რომ ის მას ბრწყინვალე მომავალს უწინასარმეტყველებდა, რომ მას ხშირად უთქვამს მისთვის: ხობო, შენ დიდი ნიჭის პატრონი კაცი ხარო... მართალია ამხანაგი ბრძმედაძე ხობოს არცკი იცნობდა და შემთხვევაც არ ჰქონია, რომ მასთან ოდესმე საუბარი ჰქონებოდა, მაგრამ ხობოს სიტყვისათვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. განა ამხ. ბრძმედაძე საფლავიდან წამოდგებოდა და განაცხადებდა, რომ ხობო ტყუილს ამბობდა?

ასეთი გრძობიარე სიტყვა უნდა ეთქვა ხობოს ამხ. ვანო ბრძმედაძის საფლავზე, მაგრამ მას ბედმა უმტყუენა და დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ შეპირება არ შეუსრულა. მან მაგიერ სიტყვა მისცა პოეტს კოლა მიწურულს.

ხობოს კი ბოდიში მოუხდა და უთხრა, რომ მეტი დრო აღარ იყო და ამიტომ მას და ბევრ სხვასაც სიტყვები არ მიეცა...

ამ ფიქრებში იყო ხობო რომ ტელეფონის წკარუნი მოესმა: ხობომ ტელეფონის მილი ყურთან მიიღო..

— მე ვარ, ხობო კიკილაძე, დიახ, დიახ... აა, შენა ხარ კოლა?.. მოდი მოდი კაცო... სახლში ვარ. კრებაზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ გელოდები...

ხობო შემოტრიალდა და კარებში ცოლი დაინახა.

— ჩემო გვრიტუნია, რამდენიმე წუთში კოლა მიწურული მოვა ტელეფონით დაიძახა. ძალიან საინტერესო მწერალია. შენ მისი არაფერი წაგიკითხავს?

— არაფერი:


— ვერც წაიკითხავ.

— მაშ რით არის საინტერესო?

— სწორედ იმით, რომ არ წერს დი მაინც ცნობილი მწერალია.

სიცილით უპასუხა ხობომ ცოლს და თავისი ლექსის ხმაძალა კითხვა დაიწყო.





ნაშრომვალს (მხარაძის რ.) ნასაკირალის ჩა-  
ის მეურნეობის ერთ-ერთ „დიდ კაცზე“  
გვწერო, რომ:

მუშებს ლანძღავს, აგინებს,  
კამაც უყვარს დიდი.  
სახაზინო ქონება  
მას ფეხებზე ჰკიდია.

და არ ასახელებთ ამ ვაჟბატონის ვინაობას  
რის გამოსარკვევად არ კმარა მარტო ეს ცნო-  
ბები:

შტატი ძმა ბიჭებისგან  
გვაწევს როგორც ნისლია.  
ლუკა, მიშა და ვანო  
სამთავენი ქვისლია.  
სერაფიონ—ცოლის ძმა,  
ბიძაშვილი—რუბენი...  
ამოივსეს ფულგებით  
მათ ჯიბე და უბენი.

ბოლშევიკურ პრესას არ ჩვევია გამოცანე-  
ბითა და ქარაგმებით თვითკრიტიკის წარმო-  
ება. დამნაშავე აშკარად უნდა იყოს დასახე-  
ლებული.

ისპარს (გომი). თქვენ იწერებით, რომ სად-  
გურის უფროსის ღვინიაშვილის შესახებ თქვენს  
ცნობებს ადასტურებს გაზეთში მოთავსებუ-  
ლი წერილებიო. ისედაც დაგიჯერებდით, რად-  
გან სადგურის უფროსის ღვინიაშვილის შესა-  
ხებ სხვებსაც მოუწერიათ ჩვენთვის. მაგრამ  
ჩვენ მაინც ვერ ვახერხებთ მის შესახებ თქვენი  
ლექსის მთლიანად მოთავსებას.

გომის სადგურში უფროსად  
ღვინიაშვილი გახლავსო.  
მან ხულიგნებით, ქურდებით  
ჩვენი სადგური აავსო.  
„პაპაშა არის იმათი  
(ალბათ ხელი ხელს ბანსაო)  
ესე ამბავი, ნიანგო,  
გვიბრძანე რასა ჰგავსაო?

თქვენი ლექსის ამ ნაწყვეტს კომენტარი-  
ები არ ესაჭიროება.

დამწყვდეს (აბაზა). მივიღეთ თქვენი დახ-  
ლეული წერილი. გეთხოვთ თქვენს ლექსზე  
წერილით გიპასუხოთ, რისთვისაც გზავნით  
ნოკ. მარკებს. ჩვენ მაინც ვამჯობინეთ გოლო-  
რით გიპასუხოთ მარკებს კი გიბრუნებთ.

აი თქვენი ლექსი:

დავბერდი, დაგჩანაკდი  
ახლა დავიწყე წერაო,  
ნიანგო, გემუდარები  
და თხოვნით ამას გწერაო,  
თუ ლექსი ეს არ ივარგებს  
დამენგრეს მაშინ კერაო.  
უნდა შევიქნე პოეტი,  
ჩემია ბედისწერაო.

ვინ გაგაბრიყვებთ? ვინ შეგიყვანათ შეც-  
დომაში? რატომ ინგრევ კერას?

გადააფურთხე ეშმაკს და თავი დაანებეთ  
ლექსების წერას.



— წაიკითხე როგორ გლანძღავენ გაზეთში. ეს პირდაპირ თავის მოჭრაა  
მეგობრებში!  
— დარდიც არა მაქვს. ჩემი მეგობრები გაზეთს არ კითხულობენ, და  
მაინც ვერაფერს ვაიგებენ!

### წერილი მეგობარს

გამარჯობა ანდრეას!  
მწერ, რომ ბინა ვერ ვიშოვნეო.  
შენ რომ ფიქრობ, მაგ გზით ვერც იშოვნი  
ვერასოდეს.  
ისე უნდა მოიქცე, როგორც მე მოვიქციე  
და ბინას მხოლოდ მაშინ იშოვნი.  
ჩემი საკუთარი ბინა (მსროლელის ქ № 5)  
გავყიდე 7000 მანეთად. ცოლშვილი სტალი-  
ნისში გავგზავნე. მოვედი ტფილისში ჩემს ნაც-  
ნობ-მეგობარ პენსიონერ ვალავანოვთან და  
ვთხოვე—დროებით, რამდენიმე დღით ღამე  
გამეთია მასთან. (იგი ცხოვრობს ვახუშტის ქ.  
№ 55-ში).  
დამთანხდა.  
რამდენიმე დღე რამდენიმე თვედ იქცა.

გადავედი შეტევაზე და ახლა მინდა თი-  
თონ იგი გამოვადლო თავის ბინიდან.  
მართალია, ნებაყოფლობით ეს საქმე არ  
გამოდის, ყოველთვე არის ჩხუბი და ყალბაყა-  
ლი, მთელი ეზო შეწუხებულია ჩემი საქციე-  
ლით, მაგრამ მე არ ვიყო ხოდაგიშვილი, თუ  
თავისი არ გაეიტანო. ხომ გაგიგონია: გარე-  
ულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო. ქა-  
თმების მიერ აქ მე და ვალავანოვი ვიგულის-  
ხმებით. ალბათ მალე მივალწევ მიზანს და ცოლ-  
შვილსაც გადმოვიყვან ახალ ბინაზე სტალინი-  
სიდან.

აი, შენც ასე უნდა მოიქცე.  
წერილს მოგიტანს **მიშელი**



ნახ. ლ. გულიაშვილის

260



წარველ მტკვრის პირად მხიარული დროს გახარაქელათ.  
 ამწვანებულა მტკვრის ნაპირი ყვავილთა ველად.  
 ასეთ შემკობას აღმასკომი გაღმაც აპირებს.  
 ველარ ვცნობილობ ნაცნობ ადგილს, მტკვრისა ნაპირებს.